



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა  
სოციალური მეცნიერებები

**1. პროგრამის დასახელება**  
სოციალური მეცნიერებები

**2. მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)**  
სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი  
Bachelor of Social Sciences

**3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით**

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს.

- მიზანშეწონილია, სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა დაძლიოს 30-კრედიტიანი პროგრამა
- საბაკალავრო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა სოციალური მეცნიერების სპეციალობით სპეციალობით მოიცავს ძირითადი სპეციალობის 120 კრედიტს და საფაკულტეტო არჩევით კონცენტრაციების 120 კრედიტს
- სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოპოვებისათვის სავალდებულოა პროგრამის წარმატებით დაძლევა და მთლიანობაში 240 ECTS კრედიტის შესრულება.

**4. სწავლების ენა ქართული**

**5. პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის და სტრუქტურული ერთეულების დასახელება**

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტოლოგიის, ეკონომიკისა და ბიზნესის დეპარტამენტი, ჟურნალისტიკის დეპარტამენტი, სამართლის დეპარტამენტი

**6. საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა შეიძინოს ცოდნა სოციალური მეცნიერებების ძირითადი ცნებებისა და თეორიების, საერთაშორისო პოლიტიკის მექანიზმებისა და ინსტიტუტების შესახებ.**

შეისწავლოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში, პოლიტიკურ მეცნიერებებში, ჟურნალისტიკაში და ეკონომიკაში არსებული ძირითადი ტენდენციები და მიდგომები, მიიღოს კომპლექსური ცოდნა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, გლობალური და რეგიონალური პროცესების შესახებ, კურსდამთავრებულებს გაცნობიერებული ექნებათ სოციალური სფეროს მოხელეთა პროფესიული პასუხისმგებლობა და ეთიკური ნორმები.

მიიღოს საფუძვლიანი განათლება, რომელიც მას შესაბამის სფეროში დამოუკიდებელი ორიენტაციის, კვლევის საკითხის დასმის, მოსაზრებების ორიგინალური განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენების საშუალებას მისცემს.

**მიღების წინაპირობა.** ერთიანი ეროვნული გამოცდები.

## **სწავლის შედეგები**

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით:

### **1. ცოდნა და გაცნობიერება**

- პოლიტიკური მეცნიერებების ძირითადი თეორიების საფუძვლიანი ცოდნა;
- საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ცოდნა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიული განვითარების ეტაპების თანამედროვე საერთაშორისო სისტემასთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გაცნობიერება.
- სახელმწიფო სისტემების ძირითადი თავისებურებებისა და მათი ჩამოყალიბების ისტორიული ეტაპების ცოდნა.
- პოლიტიკური იდეოლოგიების არსისა და წარმოშობის მიზეზების ცოდნა;
- საერთაშორისო სამართლის ცნებების, პრინციპებისა და წყაროების, ძირითადი კონვენციების ცოდნა, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა.
- მსოფლიო ეკონომიკური პროცესებისა და პოლიტიკური ეკონომიის პრობლემების საბაზისო ცოდნა;
- გაცნობიერებული აქვს სახელმწიფო სექტორში ფინანსების მენეჯმენტი, კერძოდ რა მეთოდით ხედბა დარგის და ქვედარგების დაფინანსება

### **2. დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები / პრაქტიკული უნარები**

- საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო მართვის საკითხების სიღრმისეული ცოდნა და სფეროსათვის დამახასიეთებელი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.
- სახელმწიფო მართვის პროცესში საჯარო მოხელის სამსახურებრივი უფლებების და მოვალეობების ეთიკური ნორმების ჩარჩოებში განხორციელება.
- დამოუკიდებელი კვლევების წარმოებისას არსებული სამეცნიერო ლიტერატურის პროფესიულად გამოყენების უნარი.
- დარგობრივი ცოდნის საფუძველზე გლობალური, რეგიონალური, ეროვნული პოლიტიკური მოვლენების ანალიზის უნარი.
- დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებაში მოქალაქეთა მონაწილეობის პრინციპები და კონცეფციები

### **3. დასკვნის უნარი**

- საკუთარი მოსაზრების ლოგიკურად ჩამოყალიბება და არგუმენტირებული მსჯელობა;
- სახელმწიფოს მაკროეკონომიკური ფუნქციისა და ფინანსური რესურსების პრაქტიკაში გამოყენების და შემოსავლების განაწილების ფარგლებში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად მონაცემების მოძიების, განმარტების და მისი გამოყენებით არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი
- მრავალმხრივი დარგობრივი ინფორმაციის დამუშავებისა და კლასიფიკაციის უნარი.
- მსჯელობის ლოგიკის წვდომა, მრავალმხრივი დარგობრივი ინფორმაციის მიმართ კრიტიკული და ანალიტიკური დამოკიდებულება, ინტერპრეტაციის უნარი.

#### 4. კომუნიკაციის უნარი

- პროფესიული ინფორმაციის მოპოვების მიზნით თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენების უნარი.
- სახელმწიფო ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით ცოდნის დამაჯერებლად და დასაბუთებულად წარმოჩენის უნარი.
- პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით უცხოურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი.
- კომუნიკაბელურობა, გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის უნარი, ცვალებად გარემოსთან შეგუებისა და ზეგეგმიური მუშაობის უნარი;
- სახელმწიფო მართვის პროცესში საჯარო მოხელეების როლი, მათი ძირითადი უფლებები და მოვალეობები, სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციული მართვის თეორიები

#### 5. სწავლის უნარი

- დარგობრივი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების უნარი.
- დამოუკიდებელი მუშაობის ეფექტურად დაგეგმვის უნარი.
- დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით პროფესიული ცოდნის განახლებისა და პროფესიული განვითარების უნარი.

#### 6. ღირებულებები

- კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი;
- ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების აუცილებლობის გააზრება;
- სამეცნიერო და პედაგოგიური ეთიკის ცოდნა;
- სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების აუცილებლობის გააზრება.

#### შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები:

პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრი უნდა ფლობდეს ზოგად ცოდნას სოციალურ მეცნიერებებში, უნდა ქონდეს პრობლემის დასმის, მისი კომპლექსურად

შესწავლის და გადაჭრის, ინფორმაციის ანალიზის და სინთეზის, საკითხისადმი კრიტიკულად მიდგომის უნარი. მას გამომუშავებული აქვს სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სფეროსათვის დამახასიათებელი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში კვალიფიციურად გამოყენების უნარი. ბაკალავრს ასევე უნდა შეეძლოს ჩაერთოს სხვადასხვა პროექტებში, შესაბამისი ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვით.

#### **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:**

საკონტაქტო: პასიური და აქტიური (სალექციო ფორმით)

ინტერაქტიური (სამუშაო ჯგუფში მუშაობა);

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა;

სწავლების პროცესში გამოიყენება:

#### **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი:**

სალექციო მასალის ვიზუალური პრეზენტაცია და ვერბალური განმარტება, დისკუსია;

#### **წიგნზე მუშაობის მეთოდი:**

დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად დავალების მიცემა წიგნზე მუშაობის სახით;

**ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ და დაწვრილებით განხილვა მოცემული თემის ფარგლებში.

**დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

#### **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს.

კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია 51-ზე

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

### **დასაქმების სფეროები:**

სოციალური მეცნიერების პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ:

სახელმწიფო დაწესებულებები, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურები  
საერთაშორისო ორგანიზაციები

**მატერიალურ ტექნიკური ბაზა.** უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, წიგნადი ფონდი, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ცენტრები.

### **სწავლის გაგრძელების საშუალება**

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლის გაგრძელება სოციალ-პოლიტიკური და ჰუმანიტარული პროფილის შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე

პროგრამის სტრუქტურა

N	დისციპლინის დასახელება	სთ. სულ	კრედიტი	კრედიტების და სააუდიტორიო საათების განაწილება კურსებისა და სემესტრების მიხედვით															
				I კურსი				II კურსი				III კურსი				IV კურსი			
				I სემ		II სემ		III სემ		IV სემ		V სემ		VI სემ		VII სემ		VIII სემ	
				კრ	სთ	კრ	სთ	კრ	სთ	კრ	სთ	კრ	სთ	კრ	სთ	კრ	სთ	კრ	სთ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
<b>I</b>	<b>ძირითადი პროგრამა</b>																		
I.1	აკადემიური წერა	45	5	5	45														
I.2	მასობრივი კომუნიკაციების შესავალი	45	5	5	45														
I.3	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	45	5	5	45														
I.4	საჯარო პოლიტიკის შესავალი	45	5	5	45														
I.5	უცხო ენა	180	20	5	45	5	45	5	45	5	45								
I.6	ინფორმაციული ტექნოლოგიები	45	5			5	45												
I.7	ქართული სამართლის ისტორია	45	5					5	45										
I.8	ეკონომიკის პრინციპები 1	45	5					5	45										
I.9	სოციალ-ეკონომიკური გეოგრაფია	45	5									5	45						
I.10	პოლიტიკური აზროვნების ისტორია	45	5									5	45						
I.11	ორგანიზაციული და კომუნიკაციური უნარჩვევების განვითარება	45	5									5	45						
I.12	სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკური კულტურა	45	5											5	45				
I.13	ქართული და მსოფლიო კულტურის ისტორია	45	5											5	45				
I.14	პოლიტიკური ელიტის ისტორია და პოლიტიკური ლიდერი	45	5													5	45		
I.15	პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სისტემები	45	5													5	45		
I.16	პოლიტიკური იმიჯი და საარჩევნო მარკეტინგი	45	5															5	45

I.17	მედია სამართალი	45	5															5	45
სულ სპეციალობის დამხმარე სავალდებულო საგნები		900	100	25	225	10	90	15	135	5	45	15	135	10	90	10	90	10	90
<b>II არჩევითი დისციპლინები *</b>																			
II.1	საქართველოს ისტორია	45	5	5	45														
II.2	რელიგიის ისტორია	45		5	45														
II.3	ფილოსოფია	45	5			5	45												
II.4	უცხო ენა II	135	15			5	45	5	45	5	45								
II.5	პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სისტემა აშშ-ში	45	5					5	45										
II.6	კავკასიის ხალხთა ისტორია და საგარეო პოლიტიკა	45	5							5	45								
		0	0																
		0	0																
სულ არჩევითი დისციპლინები		180	20	5	45	5	45	5	45	5	45	0	0	0	0	0	0	0	0
<b>III. არჩევითი კონცენტრაციები **</b>																			
III.1	<u>საერთაშორისო ურთიერთობები</u>																		
III.1.1	საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდოლოგია	45	5			5	45												
III.1.2	საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია	45	5			5	45												
III.1.3	საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი ცნებები	45	5			5	45												
III.1.4	სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის თანამედროვე მოდელები	45	5					5	45										
III.1.5	აშშ-ს საგარეო პოლიტიკა	45	5					5	45										
III.1.6	აზიის ქვეყნების ისტორია	45	5							5	45								
III.1.7	საერთაშორისო სამართალი	45	5							5	45								
III.1.8	საერთაშორისო ურთიერთობის იდეოლოგიები	45	5							5	45								
III.1.9	საგარეო პოლიტიკის ისტორია მე-20	45	5							5	45								



	საუკუნეში																		
III.1.10	დიპლომატიური და საკონსულო სამართალი	45	5									5	45						
III.1.11	საქართველოს საგარეო პოლიტიკა	45	5									5	45						
III.1.12	გეოპოლიტიკა	45	5									5	45						
III.1.13	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	45	5											5	45				
III.1.14	ნაციონალიზმის ისტორია და თეორია	45	5											5	45				
III.1.15	ევროინტეგრაციის ისტორია	45	5											5	45				
III.1.16	გერმანიის საგარეო პოლიტიკა მე-20 ს-ში	45	5											5	45				
III.1.17	შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ისტორია	45	5													5	45		
III.1.18	ახლო აღმოსავლეთის ისტორია	45	5													5	45		
III.1.19	სსრკ და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ისტორია	45	5													5	45		
III.1.20	საეთაშორისო კონფლიქტები	45	5													5	45		
III.1.21	გლობალიზაცია და საერთაშორისო ურთიერთობები	45	5															5	45
III.1.22	დიპლომატიური პროტოკოლი	45	5															5	45
III.1.23	საერთაშორისო უსაფრთხოება	45	5															5	45
III.1.24	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	45	5															5	45
		###	120	0	0	15	135	10	90	20	180	15	135	20	180	20	180	20	180
<b>III.2</b>	<b>მასობრივი კომუნიკაციები (ჟურნალისტიკა)</b>																		
III.2.1	ჟურნალისტიკის საფუძვლები	45	5			5	45												
III.2.2	მე-19 ს. ქართ. ჟურნ. ისტორია	45	5			5	45												
III.2.3	მართლმეტყველება	45	5			5	45												
III.2.4	ქართული ენის პრაქტიკული კურსი	45	5					5	45										
III.2.5	სტრატეგიული წერა	45	5					5	45										
III.2.6	მე-20ს. ქართ. ჟურნ. ისტორია	45	5							5	45								
III.2.7	ინფორმაციული ჟურნალისტიკა	45	5							5	45								

III.2.8	ახალი მედია	45	5							5	45								
III.2.9	ანალიტიკური ჟურნალისტიკა	45	5							5	45								
III.2.10	პროფესიული ეთიკა	45	5									5	45						
III.2.11	რედაქტირება	45	5									5	45						
III.2.12	ფოტოჟურნალისტიკა	45	5									5	45						
III.2.13	სტუდენტური გაზეთი	45	5											5	45				
III.2.14	რეკლამა	45	5											5	45				
III.2.15	ეკონომიქსი	45	5											5	45				
III.2.16	დებატები	45	5											5	45				
III.2.17	სტუდენტური ჟურნალი	45	5													5	45		
III.2.18	საზოგადოებასთან ურთიერთობა	45	5													5	45		
III.2.19	დასავლური მედია	45	5													5	45		
III.2.20	სამაუწყებლო მედია რადიოჟურნალისტიკა	45	5													5	45		
III.2.21	სამაუწყებლო მედია ტელეჟურნალისტიკა	45	5															5	45
III.2.22	საგამომცემლო საქმე	45	5															5	45
III.2.23	რადიოგადაცემის მომზადება	45	5															5	45
III.2.24	ტელეგადაცემის მომზადება	45	5															5	45
		###	120	0	0	15	135	10	90	20	180	15	135	20	180	20	180	20	180
<b>III.3</b>	<b>საჯარო მმართველობა</b>																		
III.3.1	სტატისტიკა	45	5			5	45												
III.3.2	სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა	45	5			5	45												
III.3.3	მოქალაქეობა და დემოკრატია	45	5			5	45												
III.3.4	საგადასახადო საქმე	45	5					5	45										
III.3.5	რეგიონალური ეკონომიკა და მუნიციპალური მართვა	45	5					5	45										
III.3.6	მაკროეკონომიკა	45	5							5	45								
III.3.7	მიკროეკონომიკა	45	5							5	45								
III.3.8	ინვესტირების საფუძვლები	45	5							5	45								

III.3.9	სახელმწიფოს ტერიტორიული მონაწილობის თანამედროვე მოდელები	45	5							5	45									
III.3.10	საერთაშორისო საჯარო სამართალი	45	5									5	45							
III.3.11	მუნიციპალური სამართალი	45	5									5	45							
III.3.12	კონსტიტუციური სამართალი	45	5									5	45							
III.3.13	საჯარო ფინანსები	45	5											5	45					
III.3.14	სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლები	45	5											5	45					
III.3.15	ნატო ევროკავშირი და საერთაშორისო უსაფრთხოება	45	5											5	45					
III.3.16	იდეოლოგიები	45	5											5	45					
III.3.17	სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკური კულტურა	45	5													5	45			
III.3.18	საქართველოს საგარეო პოლიტიკა	45	5													5	45			
III.3.19	მენეჯმენტის საფუძვლები	45	5													5	45			
III.3.20	საერთაშორისო ეკონომიკა 1	45	5													5	45			
III.3.21	საერთაშორისო ეკონომიკა 2	45	5															5	45	
III.3.22	საერთაშორისო კონფლიქტები	45	5															5	45	
III.3.23	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	45	5																5	45
III.3.24	პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სისტემები	45	5																5	45
		###	120	0	0	15	135	10	90	20	180	15	135	20	180	20	180	20	180	
	<b>სულ სასწავლო გეგმით</b>	<b>##</b>	<b>##</b>	<b>30</b>	<b>270</b>	<b>30</b>	<b>270</b>	<b>30</b>	<b>270</b>	<b>30</b>	<b>270</b>	<b>30</b>	<b>270</b>	<b>30</b>	<b>270</b>	<b>30</b>	<b>270</b>	<b>30</b>	<b>270</b>	

\* შეთავაზებული არჩევითი დისციპლინებიდან სტუდენტი სემესტრში ირჩევს ერთს

\*\* შეთავაზებული სპეციალობის სამი არჩევითი მოდულიდან სტუდენტი ირჩევს ერთს